

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 187 (10 108)

28 სექტემბერი, ხუთშაბათი 1998 წ.

საპარტევლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО - ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • ღარი 8 კპ.

გამოცემაზეა თათბირი „ბაკურიანი-98“

# ბაკურიანის მოავლისათვის

მაშას კონკრეტული მოსაზრება — ბაკურიანი პირობითად დაიყოს 3 სამშენებლო ზონად:

პირველი ზონისთვის უნდა გამოიყოს თანხა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

მეორე ზონის ააშენებენ უცხოური ფირმები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მესამე ზონის მშენებლობა უნდა განხორციელდეს ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა მიერ შეწირული თანხით. ამასთან, ჩემი აზრით, ყარგი იქნება თუ თითოეულ ასეთ პირს სოლიდურ თანხის შეტანის შემთხვევაში უფლება მიეცემა ახლადმშენებულ კოტეჯში წელიწადში ერთხელ ერთი თვით დაისვენოს ოჯახთან ერთად.

იმედია, რომ ბევრი ისურვებს ბაკურიანში ჰქონდეს მუდმივი დასასვენებელი ადგილი და, ამრიგად, დიდი თანხა შეიძლება შეგროვდეს. სხვათა შორის, ეს შეთრდის ცნობილია, კაპიტალისტურ ქვეყნებში, რასაც ზიანი ჯერ არავისთვის და არაფრისთვის არ მოუტანია. პირიქით!

**ვალერი ვალუაქიძე,**  
თბილისი.

## ყურადღება!

დადგინდა საპარტევლოს პროფკავშირის ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების კონფერენციის ჩატარების თარიღი.

გუშინ გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

სხდომაში მიიღო გადაწყვეტილება: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებელი კონფერენცია ჩატარდეს 1998 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის სახსლში.

დასაწყისი 11 საათზე.

დედგარების რეგისტრაცია 9 საათიდან.

## პირველი დღეები

გაიმართა სპორტისა და სიჯანსაღის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზარეველთა საბჭოს ამორიგი სხდომა.

სხდომაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებელი კონფერენცია ჩატარდეს 1998 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის სახსლში.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გუშინ გაიმართა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების საპასუხო მატჩები.

**თანხების მფლობელთა თასი**  
„კორკ სიტი“ (ირლანდია) — „ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) 0:1.

**უფა-ს თასი**  
„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ) — „ატალანტა“ (იტალია) 2:0.  
„მტკემ“ (უნგრეთი) — „დინამო“ (კიევი, სსრკ) 1:2.

## ჭადრაკის ფედერაციის კლენუმი

გუშინ საქართველოს პროფსაბჭოში გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის კლენუმი.

პლენუმმა ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე პეტრე ჩხეიძე.

პლენუმზე შეიქმნა ფედერაციის შვიდი კომისია. აირჩიეს საკავშირო საქადრაკო ფედერაციის პლენუმის დელეგატები.

## სსრ კავშირის ვაშთა 88-ე ჩემპიონატი პადრაკში

### პრიზებისათვის ბრძოლა დაიწყო

თბილისში, სასტუმრო „არკადი-ში“, სადაც ცხოვრობენ ჭადრაკში სსრ კავშირის ვაშთა 88-ე ჩემპიონატის მონაწილენი, გაიმართა ქენჭისყრა. აი, როგორ განაწილდნენ სპორტსმენები სატურნირო ცხრილში:

1. ა. ხოლოდოვი, 2. კ. ახევი, 3. ვ. მაღანიუკი, 4. რ. ვაგანიანი, 5. ი. ხშირინი, 6. ვ. ტუქმაკოვი, 7. ბ. დოლმატოვი, 8. ლ. ოლი, 9. ა. დრევი, 10. ა. ბელიავეტი, 11. ვ. ეინგორნი, 12. ი. ბალაშოვი, 13. ს. დვორიჩი, 14. ვია ვიორგაძე, 15. კ. ლერნერი, 16. ბ. გელფანდი.

გამოცხადდა პრიზებიც. თუ გავითვალისწინებთ ოფიციალურ პრიზებს, რომელთაგანაც, მაგალითად პრიზი პირველი ადგილისათვის ნავარაუდევია მხოლოდ 400 მანეთი, ქვეყნის ჩემპიონატი უნდა მივაკუთვნოთ არასოლიდურ ღონისძიებას, მაგრამ თავი გამოიჩინეს ოდესღაც სპონსორებმა (დაწესებულებებმა, კომპერატორებმა) და ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთათვის დამატებით დაწესეს შესაბამისად 2000, 1200 და 800 მანეთი.

იმავ დღეს გაიმართა პირველი ტური. ექვსი პარტია დაუმთავრებელი დარჩა (მაღანიუკი-ვიორგაძის შეხვედრა არ შედგა). მხოლოდ ერთი ფიგურებით მოთამაშე ვაგანიანი შეძლო პარტიის გამარჯვებით დავერგვინება დვორისთან.

შედევანობით არც მეორე ტური გამოირჩეოდა. ბელიავეტი დაამარცხა ოლი, ხოლო ბალაშოვმა — ტუქმაკოვი. გელფანი-დრევისა და ვიორგაძე-ვაგანიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

## გზარს უჭერენ და...

საპარტევლოს სპორტსაბჭოს ბაკურიანის სპორტკომპლექსის თანამშრომლებს ორი ათასი მანეთი შეაქვთ „ბაკურიანი-98“-ის ფონდში. პირადად მე ფონდში შევიტან ერთი თვის ხელფასს.

**გურამ ხანაიაძე,**  
სპორტკომპლექსის დირექტორი.

სპორტის ზამთრის სახეობების უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებს თითო თვის ხელფასი შეაქვთ ბაკურიანის ახალმშენებლობების ფონდში.

**ვახუშტი ფილიანი,**  
სკოლის დირექტორი.

მთავრობის განკარგულებაშია თათბირი, რომ 1998 წლისათვის ბაკურიანი იქცეს სამაგალითო საკურორტო და სათბილამურო სპორტის ცენტრად. ფონდში შემაქვს ერთი თვის ხელფასი.

**კობა წაბაძე,**  
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი საქართველოში.

ჩვენი გადაწყვეტით საკუთარი წვლილი შევიტანოთ მშობლიური ბაკურიანის კეთილმოწყობაში. მზად ვართ თითო თვის სტიპენდია შევიტანოთ საგანგებო ანგარიშზე.

**კახა წაბაძე,**  
საერთაშორისო სპორტის ოსტატი, ლეგან ტიბილიძე.  
კახა ვახტანგოვიძე,  
სპორტის ოსტატი.

## „ოლიმპიისკის“ რიგის კვადრატზე

გოსპოვში, სპორტკომპლექსს „ოლიმპიისკის“ დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატის კრიზისი. პირველი ხელთათმანისთვის ბრძოლაში თავდაპირველად 43 ქვეყნის 236 მოკრივე ჩაება. ამჟამად კი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას აგრძელებს 11 სპორტსმენი სსრ კავშირიდან, 9 — კუბიდან, 7 — გდრ-დან, 3-3 — კორეის სახალხო რესპუბლიკიდან და აშშ-დან, 2-2 — ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და ჭფრინიდან, ხოლო თითო სპორტსმენი ავსტრალიიდან, ეგვიპტიდან, ირლანდიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან.

ფინალური შეხვედრები 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს გაიმართება.

სასახლო რესპუბლიკიდან და აშშ-დან, 2-2 — ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და ჭფრინიდან, ხოლო თითო სპორტსმენი ავსტრალიიდან, ეგვიპტიდან, ირლანდიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან.

ფინალური შეხვედრები 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს გაიმართება.



## მხედართა ტრადიციულ ზეიმზე

წელს ოცდამეორეჯერ გაიმართა ცხენოსანთა საკავშირო თავყრილობა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების საუკეთესო ცხენ-მხედრები ამჯერად კრასნოდარში შეიკრიბნენ. საქართველოდან გარდა ძირითადი გუნდისა, ისინდა და ცხენბურთში კონკურსგარეშე მონაწილეობდა ქ. გვარის საცხენოსნო კლუბის ორი გუნდი.

საუკეთესოდ იასპარეზა რუსთაველმა ოსტატმა მხედარმა დავით თაბაგარმა. საქართველოს სახელობის პრიზის გათამაშებაში 1200 მეტრზე ცხენ უტრგამით იგი პირველი მივიდა ფინიშთან.

თბილისელმა ზაზა გონჯილაშვილმა ქილაქ კრასნოდარის იპოდრომის სახელობის პრიზზე „სტიბლჩისში“ 3200 მეტრზე გაიმარჯვა. იგი გამოდიოდა გალის რაიონის ცხენ „სპილზე“ — 3:44 წ. მეორე ადგილი წილად ხვდა ასევე თბილისელ სპორტის ოსტატ სოსო შელიას. ცხენი — „გრანიჩარი“ (სენაი). შელია მე-სამე იყო „სტიბლჩისში“ 4800 მეტრზე რსფსრ-ის სახელობის პრიზზე. 2000 მეტრზე სადა დოლში დავით თაბაგარი მე-სამე იყო.

სასახლო რესპუბლიკიდან და აშშ-დან, 2-2 — ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და ჭფრინიდან, ხოლო თითო სპორტსმენი ავსტრალიიდან, ეგვიპტიდან, ირლანდიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან.

ფინალური შეხვედრები 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს გაიმართება.

**თამაზ წაბაძე,**  
ავტორის ფოტოები.

# ვეტარანი „აბროვებს ოქროს“

კომუნისტური გამართული ვერო-პის ჩემპიონატის შემდეგ თბილისე-ლი ბატონისტი რუსუდან ხოფერია, რომელმაც ამ შეჯიბრებაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა, რედაქციაში მოვიწვიეთ.

რუსუდან, ვეროპის ჩემპიონატის შესახებ გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ მხოლოდ ტექნიკური შედეგებით შემოიფარგლა, ქართველ გულშემატკივარს კი, ცხადია, მეტის გაგება ხურს. ხანამ უშუალოდ შეჯიბრების შესახებ მოგვითხრობდე, გვიანტერესებს, რას ფიქრობ „სოვეტსკი სპორტის“ იმავე ნომერში ცალკე გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირის ბატონისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ალექსანდრე ევსეივის საკმაოდ ვრცელ ინტერვიუზე, სადაც, სხვათა შორის, ორი ისეთი მოსახრებაა, რომლებიც არასწორად მოგვეჩვენა. ერთად, ევსეივი ჩვენი ქვეყნის წამყვან მწვრთნელებში არ თვლის საქართველოს სპეციალისტებს (თუნდაც თენგიზ ხუციანთს), რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, უფროს მწვრთნელს შარშანდელი წარმატებები მაინც უნდა გახსენებოდა, როდესაც კაბუთა საკავშირო თამაშებში ჩვენმა ნაკრებმა დიდი უპირატესობით მოიპოვა გულდური გამარჯვება. გარდა ამისა, ინდივიდუალურ გამოსვლებში თითქმის ყველა უმაღლესი წილი მოიპოვა. ის მაინც რატომ არ გაახსენდა, რომ შარშანდელ წინაპრობის შემდგომი შედეგებიდან მხოლოდ ორი ჩემპიონის სახე შევხვდებით. განა ყველაფერი ეს მწვრთნელთა ოფლის ღვაწლად და გარჯის შედეგად არაა? რას იტყვი იმაზეც, რომ უფროსი მწვრთნელი, არც თუ ორჯერჯერად, შენ ვეტარანებში გვვლიხ, თუმცა ამ შემთხვევაში სიტყვა ვეტარანი „ლიდერთა“ შეცვლილი? — ევსეივი, თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილში, მგონი, არ ცდება —

უკვე მეხუთე წელია, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვირიციხები და მგონი მართლა ვეტარანი ვართ. თუმცა მეორე მხრივ სექტემბერში შემისრულდა 17 წელი და სულ მეორე ერთი წელი კიდევ მაქვს უფლება ახალგაზრდულ შეჯიბრებებში გამოვიდე. ევსეივი რომ ბრძანებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ზოფერისას უფრო ახალგაზრდა ბატონისტმა ანა დოლონაძემ აჯობა, ამისი კი რა მოგახსენოთ. ანაზე მხოლოდ ხუთი თვითა ვარ უფროსი. ვფიქრობ, მწვრთნელმა ჩემი ასაკი არ იცის. თუ ვცდები, გამოდის, რომ ხუთი თვის შემდეგ ანასაც ვეტარანის იარაღის მიუკერებენ. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები გამორჩეულნი არიან, აქაც რაღაც გაუგებრობაა, რადგან ასევე „გამორჩეული“ სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონის ნიკოლაიევი ვიცი კრასნოშაპკის მწვრთნელი სერგეი სოლომატინი, აგრეთვე სინქრონულ ბტომებში ჩემი თანამეწყველე მსოფლიო ჩემპიონ ელენა კოლომეცის და ვეროპის ექსპერტიზის როზა ბელიაევის მწვრთნელი ვლადიმერ გორბი. სამაგიეროდ, რეკულთა შორისაა ლენინგრადელი მწვრთნელი ლუბოვ ბაიკინა, რომელსაც დღემდე ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ახსნა-განმარტებამ ნათელი მოგვინა ჩვენს ყველა ეჭვსა და ვარაუდს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უფროსმა მწვრთნელმა ნდობა გამოგვიცხადა და შენ და ანა დოლონაძე ვეროპის ჩემპიონატზე მოხვდით.

ჩემი წასვლა კომუნისტურ მწვრთნელთა საბჭოს უმრავლესობით გადაწყდა, რადგან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, სადაც ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, სხვა დასხვა რანგის შეჯიბრებებში დაკავებული ადგილების მიხედვით პირველი ნომერი ვიყავი. მხოლოდ ვიტებსკში გამოსწრო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ტარანა ლუშინამ, სადაც ის ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ვეროპის ჩემპიონატის ორი ოქროს მედალი თავისთავად ხაკმაო ნადავლია, მაგრამ, ალბათ, გული დაგწყდა, ინდივიდუალურ ანაპარეზობაში რომ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩი, მითუმეტეს რომ 1987 წელს პორტუგალიაში ვერცხლებების შესამე საფეხურზე მაინც ახვედი.

ბის ბოლო შეჯიბრებზე მოხსენეს ფენიდან თბაშირი, მაგრამ ტკივილი ისე აწუხებდა, რომ დანიაში გამგზავრებამდე სამი დღით ადრე მწვრთნელმა გადაწყვიტეს წყვილში მე და ანა დოლონაძე გამოვსულიყავით. კოლომეცი ყოველ შემთხვევაში წამოიყვანეს, ვინა რომ არ გაუქმებულყო. დანიაში იგი ცოტა გამოკეთდა, სამაგიეროდ, როგორც გითხარი, მე ვიტყინე ფენი. შეჯიბრების წინ გადაწყდა,

ნი უპირატესობა არ შეცვლილა, მხოლოდ ფინალში გვაჯობეს ლუშინა-მერკულოვამ, მაგრამ „სამპლი-ში“ 0,3 ქულით გავუსწარი, ისე რომ საბრიზო ადგილებში სტატუსი არ დარღვეულა. ინდივიდუალური ბტომების დაწყების წინ ვიციმ ევსეივმა მითხრა, სინქრონულ ბტომებში შენი და ელენას გამარჯვებით კმაყოფილი ვართ, მაგრამ შენი ტრავმა გვაფიქრებს, უფრობესია ნაცვლად 11,2 სირთულის კოეფიციენტისა 10,6-ით გამოხვიდო. მეწყინა, უფროსი მწვრთნელი შიშობდა, ჩემი წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდური გამარჯვება საეკო ვახდებოდა. მე კი მერჩინა შეგვეული პროგრამით გამოვსულიყავი. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლუშინა მისწრებდა, ანა მერვე ადგილზე იყო. ნებისმიერი პროგრამის შემდეგ 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ინგლისელმა სუზანა შალიმამაც გამოსწრო. ამჯერად მესამე ადგილს ვიყოფდით მე და მერკულოვა. ფინალში ერთი საფეხურით კიდევ უკან დავიხიე და საბოლოოდ მე და ანამ გავიყავით მეოთხე ადგილი.



ანა დოლონაძე (მარცხნივ) და რუსუდან ხოფერია.

შარშანწინდელ ვეროპის ჩემპიონატში სამაგიეროდ სინქრონულ ბტომებში ვიყავი ერთი საფეხურით უკან — ვერცხლის მედალი მოვიპოვე. რაც შეეხება ახლანდელ ჩემპიონატს, მწვრთნელები ჩემგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნისტურ პირველივე დღეს ვარჯიშზე სერიოზულად დავიზიანე ფენი და მხოლოდ გამაყურებელი ნემსების საშუალებით ვახერხებდი ვარჯიშს. თქვენთვის ალბათ ისიც სინტერესია, რომ ჩემს თანამეწყველს ელენა კოლომეცს მხოლოდ ნაკრე-

რომ მე და ელენას გვეასპარეზა. ჩვენი გუნდის მეორე წყვილი ლუშინა-მერკულოვა იყო. სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ მოხდა გაუგებრობა. ჩვენი გამოსვლა, რომლის სირთულის კოეფიციენტი 9,5 იყო, მსაჯებმა 8,7 ჩათვალეს, რის გამოც მეოთხე ადგილი მოგაკუთვნეს. ჩვენი პროტესტის შემდეგ, მოგვიანებით, ვიღვოს დახმარებით გასწორდა შეცდომა და 1,1 ქულით გავუსწართ მეორე ადგილზე ჩამოქვეითებულ ლუშინა-მერკულოვას. მესამე იყო ფრანგების წყვილი. ნახევარფინალში ჩვე-

ნი უპირატესობა არ შეცვლილა, მხოლოდ ფინალში გვაჯობეს ლუშინა-მერკულოვამ, მაგრამ „სამპლი-ში“ 0,3 ქულით გავუსწართ, ისე რომ საბრიზო ადგილებში სტატუსი არ დარღვეულა. ინდივიდუალური ბტომების დაწყების წინ ვიციმ ევსეივმა მითხრა, სინქრონულ ბტომებში შენი და ელენას გამარჯვებით კმაყოფილი ვართ, მაგრამ შენი ტრავმა გვაფიქრებს, უფრობესია ნაცვლად 11,2 სირთულის კოეფიციენტისა 10,6-ით გამოხვიდო. მეწყინა, უფროსი მწვრთნელი შიშობდა, ჩემი წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდური გამარჯვება საეკო ვახდებოდა. მე კი მერჩინა შეგვეული პროგრამით გამოვსულიყავი. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლუშინა მისწრებდა, ანა მერვე ადგილზე იყო. ნებისმიერი პროგრამის შემდეგ 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ინგლისელმა სუზანა შალიმამაც გამოსწრო. ამჯერად მესამე ადგილს ვიყოფდით მე და მერკულოვა. ფინალში ერთი საფეხურით კიდევ უკან დავიხიე და საბოლოოდ მე და ანამ გავიყავით მეოთხე ადგილი.

● მომავლის გეგმებზე რას გვეტყვი? — მალე ინგლისში დაიწყება მსოფლიოს არაოფიციალური თასის გათამაშება, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. შეჯიბრების დებულებით თითო ქვეყნიდან მხოლოდ ორ-ორ სპორტსმენს აქვს მინაწილობის უფლება. ამ საპატიო მისისი შესრულება მწვრთნელებმა მე, ელენა კოლომეცს, იგორ მოსკალენკოსა და ვიდი კრასნოშაპკს მოგვანდეს.

● ვისურვებთ წარმატებას! — გმადლობთ.

ჯემალ კანრამაძე  
ვეროსის ფორტი.



ქალთა ფალბურთის პროკლამეზი

## მოვკრიფოთ ვარდი... უეკლოდ!

სხრამ — კანადა

### კინგსტონი — ქუთაისი

ოტავა. კანადის ახალგაზრდობის საქმეთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო მინისტრმა ჟან შარემ გამოაქვეყნა იმ ქალაქების სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ „ფიტ-ტრეკის“ (დაუსრულებელი სპორტული შეჯიბრებები საბჭოთა ქალბატონი) მეორე პროექტში. 1990 წლის შეჯიბრებებისთვის კანადისა და საბჭოთა კავშირის მოსპარეზე ქალაქები ასე დაწყვილდნენ:

სენგ-ჯონი (ნიუფაუნდლენდის პროვინცია, მოსახლეობა 98 ათასი) — ბრესტი.

შარლოტაუნი (პრინცი ედუარდის კუნძულის პროვინცია, 126 ათასი მცხოვრები) — მაიკობა.

მონრეალი (კვების პროვინცია, 1 მილიონი მცხოვრები) — მოსკოვი.

ოტავა (დედაქალაქი, გარეუბნების ჩათვლით 600 ათასი მცხოვრები) — ნახერენიე ჩელნი.

პიტერბორო (ონტარიოს პროვინცია, 65 ათასი მცხოვრები) — გროდნო.

კინგსტონი (ონტარიოს პროვინცია, 70 ათასი მცხოვრები) — ქუთაისი.

საულტ-სენტ-მარი (ონტარიოს პროვინცია, 80 ათასი მცხოვრები) — მინსკი.

მაილტონი (ონტარიოს პროვინცია, 310 ათასი მცხოვრები) — უფგოროლი.

ვინიპეგი (მანიტობას პროვინცია, 600 ათასი მცხოვრები) — ფეოვოი.

რეჯინა (სასკაჩევანის პროვინცია, 180 ათასი მცხოვრები) — პენსა.

ვანკუვერი (ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია, 340 ათასი მცხოვრები) — კოევი.

პირველ ანალოგიურ „ფიტ ტრეკში“, რომელიც 1989 წელს ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო კანადისა და საბჭოთა კავშირის რამდენიმე მილიონმა მოქალაქემ. მაგრამ მაშინ ერთმანეთს ქალაქებს ხუთი წყვილი ეჯიბრებოდა. ახლა კი ერთი მხარის სურვილის გათვალისწინებით მოსპარეზე წყვილების რაოდენობა თერთმეტამდე გაიზარდა.

სპორტული თევეჭარა

## გუბისწყალზე...

ხად უფრო „ენერგიულად“ იხვეწებენ აღმართები თავისუფალ დროს? ცხადია, დახვეწილი გემოვნების საქმეა. არიან აღმართები, რომლებსაც თევჭერა უწვლავდები, უჩვეულოდ. მათთვის სპორტული ანაპარეზობები ტარდება.

ერთი ასეთი შეჯიბრება გაიმართა სამტრედიის რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობით. სოფელ იანეთში მიღწარე გუბისწყალზე ჩატარებულმა სპორტულმა თევეზობამ 25 გუნდს მოუყარა თავი. ყველას აჯობა სამ-

რომ ორივე გუნდის მწვრთნელების ხელფასი, ერთად აღებული, შეადგენს იმ თანხის ნახევარს, რომელსაც იღებს ნებისმიერი ქალთა წყალბურთის გუნდის ხელმძღვანელი სხვა რესპუბლიკაში? მითამაშებენ კი სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებსაგან განსხვავებით, არაფრითა შეღავათებით არ სარგებლობენ?

ხედავთ, რამდენი კითხვის ნიშანია?

იქნებ ის, ვისაც ევალეობდა ქალთა წყალბურთზე ზრუნვა, ზემოდან ბრძანების მოსვლას ელოდა? აი, ბატონო, ბრძანებაც...

პოლანდელი თუ დე ვიტო, რომელიც ფინა-ში ქალთა წყალბურთის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ჩვენი ვახუთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ქალები წყალბურთის შეიყვარებენ. ისინი ძლიერნი, ლამაზები და, კარგი ვაგებით, აზარტულნი არიან, ისინი ამ თამაშისთვის არიან დაბადებულნი! თუ ქართველი ქალები იტყვიან თავის სიტყვას წყალბურთის განვითარებაში, ეს სახეობა მოკლე ხანში შეიძლება ოლიმპიური დისციპლინა გახდეს.“

მაშ ასე, რა პრობლემები დგას ქალთა წყალბურთის წინაშე? პირველი და ალბათ ყველაზე მთავარი ხაკითხი — ბავშვთა ჯგუფების გახსნაა, გარდა ამისა, წყალბურთი კარგი საშუალებაა „ჩამოწერილი“ მოცურობებისათვის სპორტული ცხოვრების გასაზანგრობებლად, საჭიროა ექიმი, გუნდში არ არის ექიმის საშუალო ერთეული, ნახევარ წელიწადში ერთჯერადი დისპანსერობაცია სრულებით არ არის საკმარისი. მამაკითხი პრიმიტიული მეტყობებისთვის, მაგრამ ქალთა ექიმი უფრო მეტად ჯიბ-



# ქარაგვე კვლავ იხილა დღის სინათლს

იბრაჰიმევი გიჩინ ფუნაკოსი, ადამიანი, რომელიმაც შექმნა სპორტული ორთაბრძოლის ახალი სახე — სპორტული კარატე-დო, ვერც კი იფიქრებდა, თუ რა „ეკლავი“ გზის გაველა მოუხდებოდა მის პირმშოს საბჭოთა კავშირში.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა დამოკიდებულება კარატეს მიმართ. მისი მიმდევრები ხან ორმა „იატაკ-ჩეიგუ-შო“ მიდიოდნენ, ხან, როგორც ეს 70-იანი წლების ბოლოს მოხდა, მათ ოფიციალური ფედერაციის ჩამოყალიბების უფლებაც მიესცეს. შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში ისევ არაფერია აღსრულებული პერიოდი დადგა. და აი, შარშან, კვლავ შეიქმნა საკავშირო ასოციაცია.



თემურ ცვიტივილი

ვერ გეტყვით, ვის ნებასურვილია დამოკიდებული სპორტის ამ სახეობის ოფიციალური არსებობა-არარსებობის საკითხი და რა უღევს საფუძვლად ერთი ან მეორე გადაწყვეტილების მიღებას. ეს ცალკე, ძალზე სერიოზული საუბრის თემაა. მაგრამ ის ფაქტი, რომ კარატეს მიმდევრები საქართველოში დიდი ხანია არსებობენ და ყოველგვარი ნებართვა-აქრძალვის გარეშე აგრძელებენ მცდელობას, ფაქტად რჩება.

საბუნდობროდ, ამჟამად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კარატე და სხვა ადრეოსპორტული ორთაბრძოლები სამუდამოდ შეუერთდებიან სპორტის სახეობათა მრავალრიცხოვან ოჯახს.

ამაზე მეტყველებს ის, რომ სულ ცოტა ხნის წინ, სექტემბრის შუა რიცხვებში, ალმა-ათაში გაიმართა აღმოსავლური ორთაბრძოლების საბჭოთა ასოციაციის პირველი ჩემპიონატი კარატე-დო-ში. ასპარეზობა ძალზე წარმომადგენლობითი იყო, მასში მონაწილეობდა 200-ზე მეტი სპორტსმენი ოთხქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მათ შორის ცხრა ქართველი კარატისტიც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველივე ჩემპიონატი წარმატებული გამოდგა ქართველი სპორტსმენებისთვის, მათ ერთი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. თუმცა, სანამ უშუალოდ ჩემპიონატის შედეგებზე მოგახსენებდეთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღით ადრე, იქვე, ალმა-ათაში, გაიმართა მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი, რომელსაც კარატე-დო-ში მსოფლიოს (გუჯატ) და ევროპის (ეკუ) მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე პოლანდიელი პეტ ვერგინსტი ხელმძღვანელობდა. სემინარის მუშაობაში საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა: თემურ ცვიტივილი და დავით გორგაზაშვილი. ამიერიდან მათ უფლებება აქვთ იმსაჯონ საკავშირო მნიშვნელობის ყველა შეჯიბრებაზე. გიორგაზაშვილია ეს უფლება ამ ჩემპიონა-

ნატზე უკვე გამოიყენა და მას, პირველს ჩვენს რესპუბლიკაში, მიენიჭა საკავშირო არბიტრის „C“ კატეგორია. აქვე უნდა განემარტოთ, რომ დებულების თანახმად, ყველა მოქმედ სპორტსმენს, სემინარის გავლის შემდეგ, შეუძლია იმსაჯოს ის ტურნირი, სადაც თავად არ მონაწილეობს. ასე მოხდა ამჯერადაც. დავით გორგაზაშვილმა ტრავმის გამო ვერ შეძლო ორთაბრძოლებში გამოსვლა და ამიტომ მსაჯის ამბოღუს „დასაჯრდა“, რასაც საკმაო წარმატებით გაართვა თავი და ვერცაფერის დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

ახლა თავად ჩემპიონატს დავუბნდეთ. ასპარეზობა ორ მიზანს ისახავდა: 1. გამოველინა ქვეყნის უძლიერესი კარატისტები წონითი კატეგორიების მიხედვით; 2. ჩამოეყალიბებინა ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო თასის გათამაშებაში (უნგრეთში) და ბოქსის თასის ტურნირში ჩეხოსლოვაკიაში. ეს ორი შეჯიბრება თითქმის ერთსა და იმავე ვადებში ტარდება და სწორედ ამან განაპირობა ორი ნაკრების შექმნის აუცილებლობა.


ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს გუნდი შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა: თემურ ცვიტივილი, დავით გორგაზაშვილი, ზურაბ ცვიტივილი, გიორგი ბაკურაძე, ავთანდილ რაზმაძე, კახაბერ ქუთათელაძე, ნუგზარ ცომაია (მწვრთნელი ზურაბ ცვიტივილი), ოთარ გელაძე (მწვრთნელი გურამ ბარბაქაძე) და კახა ბასილია. გუნდის წარმომადგენელი იყო დავით შავგულიძე.

ბრწყინვალე გამარჯვებას (აშკარა უპირატესობით) მიიღოთ თემურ ცვიტივილი 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში. მან ჩემპიონატის ოქროს მედალი დაიმსახურა. მასვე მიეკუთვნა სპეციალური პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის“. უნდა აღინიშნოს,



მარცხნიდან: გიორგი გალდავა, ზურაბ ბეჟანიშვილი, ზურაბ ცვიტივილი, თემურ ცვიტივილი, ზურაბ ლევაშვილი, გიორგი ბაკურაძე, ავთანდილ ავთანდილ გურაბაშვილის ფოტო.

რომ ეს მისი მესამე წარმატებაა წლეულს გამართულ სხვადასხვა რანგის საკავშირო შეჯიბრებებში. ბრინჯაოს მედალები — მოიპოვეს გიორგი ბაკურაძემ (75 კგ-მდე), ნუგზარ ცომაიამ (აბსოლუტური წონითი კატეგორიის ერთ სახეობაში — შობუ-სანბონ — ორთაბრძოლა 3 იპონ-მდე) და კახაბერ ბასილიამ (ე. წ. „კატა“-ს დისციპლინაში). არ შეიძლება არ აღინიშნოს გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრის, ავთანდილ რაზმაძის მიღწევა. მან მეოთხე ადგილი დაიკავა აბსოლუტური წონითი კატეგორიის მეორე სახეობაში — შობუ-აონ — ორთაბრძოლა ერთ იპონ-მდე. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო წესების თანახმად კარატე-დო-ში, ისევე რო-



ჩემპიონატის პრიზი

გორც ძიულში, ორი ბრინჯაოს პრიზორია, მაგრამ ეს პუნქტი შეჯიბრების ორგანიზატორებს არ ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო რაზმაძე პრიზორთა სამეულს მიღმა დარჩა.

ამავე წონით კატეგორიაში მეხუთე ადგილი დაიკავა კახაბერ ქუთათელაძემ. მედლითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა მათი მწვრთნელი ზურაბ ლევაშვილი.

საქართველოს ნაკრები გუნდი განსაკუთრებით აღინიშნა, როგორც ყველაზე კორექტული გუნდი (არც ერთი ტრავმა მათი მხრიდან). სავსებით ძალზე მაღალი შეფასება დაიმსახურა გუნდმა ისეთი ექსპერტის მხრივ, როგორც პეტ ვერგინსტი. მისი აზრით საქართველოს წარმომადგენლებს თამაშად შეუძლიათ გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე.

დღი მოწონება დაიმსახურეს ტრენერებში „უ-შუ“-ში საჩვენებელი გამოსვლებისთვის მიწვეულმა გ. გალდავამ და ზ. ბეჟანიშვილმა.

საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, ჩაირიცხა თემურ ცვიტივილი. ამავე ნაკრების კანდიდატები არიან გიორგი ბაკურაძე, ნუგზარ ცომაია და კახაბერ ბასილია. ბოქსის თასის გათამაშე-

## ქაი მანჯგალაძე

თავსარდამცემი იყო მისი ხიკვდილი. ისეთი ადამიანები, როგორც ქაი მანჯგალაძე იყო დიდ და ეროვნულ საქმესთან გულის უკვლა ნერვით არიან დაკავშირებული. ღრმად აქვთ შეგნებული მოვალეობა, თავად კი იშვიათად ჩანან სცენაზე. ეს კაცი მუდამ უჩუმარად, მუხლჩაუხრებლად და უპრეტენზიოდ იღვწოდა ქართული სპორტის საკეთილდღეოდ. სხვა ფინანსისტს იშვიათად ნახავდით მიხერ გულდას და გამებებს. მისთვის უცხო იყო პიუროკრატის ენა, თანაგრძნობა და ხიბობის გაწილადება — ახლობელი. თანამოსაუბრესთან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა თითქმის, ყველა პირქუში ფინანსისტის გამოინანიებდა, რწმენას მატებდა ამამიანებს, როცა ნებისმიერ პრობლემადაც ეტებდა გამოსავლს.

შენახიწავ პიროვნულ თვისებებთან ერთად ღრმა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის გამო უ. მანჯგალაძე უზოო ავტორიტეტით ხარგებლობდა რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობაში. ასეთი მუშაკები ნებისმიერი დარგის სიამაყედ ითვლებიან, ჩვენც სამართლიანად ვაპყობდით მისით. ვაჭვალხ, რომ უდროოდ დაგვწორდა სამუდამოდ, დაშორდა ოჯახს, მეგობრებს, ჩვენს ხართო საქმეს, რომლის დაწინაურებაში მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა.

საქართველოს სპორტსაკომში 17 წელწაღი იმუშავა. მანამდე იყო ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინ-



სტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფრო ადრე კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შრომით კოლექტივებში მუშაობდა ეკონომისტად. ახალგაზრდობაში სპორტითაც იყო გატაცებული — ჯერ სამტრედიის თამაშობდა ფეხბურთს, შემდეგ უნივერსიტეტის გუნდში.

აი, ცხოვრების ასეთი გზა გამოიარა კაცმა, რომელმაც მხოლოდ შარშან შეუსრულდა 50 წელი. მეტი არ დასცალდა. აუნაზღაურებელია დანახობის, რაც მისმა მოხიყვარულე ოჯახმა და ჩვენმა ხართო საქმემ ანაცადა.

ქაი მანჯგალაძის, ამ ნათელი და უაღრესად მუშაური კაცის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

## ვლადიმერ არსენიანი

გარდაიცვალა 50-იან წლებში ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოქიდავი, სპორტის ოსტატი ვლადიმერ გიორგის ძე არსენიანი. წავიდა თავდაბალი, მშრომელი და უაღრესად მოხიყვარული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება თავისუფალი ქიდაობის სამახურს შელია.



მწვრთნელად და არა ერთი ახალგაზრდა ოსტატი აღზარდა. იგი ამავე დროს იყო რესპუბლიკის მოქიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი და თავის ცოდნასა და გამოცდილებას მომავალი თაობის აღზრდას, მის დახატებას ახმარდა.

3. არსენიანი დაიბადა 1934 წლის 10 აგვისტოს თბილისში. ქიდაობა დაიწყო ჩვენი სახელმწიფო მწვრთნელისა და აღმზრდელის მიხეილ თიანაძის ხელმძღვანელობით. იყო საბჭოთა კავშირის (1957 წ.) და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკადის (1959 წ.) ჩემპიონი. 1959 წელს მონაწილეობა მიიღო თეირანის მსოფლიო ჩემპიონატში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

წლების მანძილზე წარმატებით იცავდა რესპუბლიკის სპორტულ დაჩხობას საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში.

მას შემდეგ რაც თავი დაანება აქტიურ სპორტს, მუშაობდა „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში

რედაქტორი  
თ. გაჩეჩილაძე.

გიორგი ძორჯია



თბილისი. 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის გამზირი №2).

## 1 ოქტომბერი • ფხვრუთი სსრ კავშირის ჩამოშლის დღი

„დინამოს“ (თბილისი) — „დინამოს“ (მინსკი) დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასაწყისი ფეხბურთის და ლატვიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 29,30 სექტემბრის და 1 ოქტომბრის, დღის 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში 29 სექტემბრის.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგება 30 სექტემბრის, დასაწყისი 18 ს. 30 წუთზე. უაშინლობის შემთხვევაში თამაში გადატანილი იქნება გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე.

მიხეილ კეკელიძის სახელობის ექსპერიმენტული ოლიმპიური რწვრების კალათბურთის 58-ე საშუალო სკოლის გუნდი „მარტვი“ აცხადებს 1979-80-81 წლებში დახადებულ გოგონებისა და ვაჟების მიღებას.

ჩარიცხვა იწარმოებს მ/წ 1 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე.

სკოლის მისამართი: ა. წერეთლის გამზირი, №105 ა.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს „ნორჩ დინამოელთა“ საკალათბურთო სკოლის დირექტორი აცხადებს მოხწვალთა მიღებას 1989-90 სახწვალო წლისათვის. სკოლაში მიიღებიან 1979-1982 წლებში დაბადებული ვაჟები.

განცხადებები მიიღება 15 ოქტომბრამდე. დაწერილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სკოლის დირექტორს, თბილისი, „დინამოს“ სტადიონი. ტელეფონი: 95-09-19.

სკოლის დირექტორი.

## სპორტული ლაბარინების მოყვარულთა საუბრადღებოდ! სპეციალური ტირანი „კულმოყვალეგა“

1989 წლის 22 ოქტომბრის ლატვიის „სპორტლოტო 5 36“-დან პირველად გათამაშდება სპეციალური სპეციალური ტირანი.

ამ ტირანის მოგებას საკავშირო სპორტსაკომში გადასცემს ინვალისა და სპორტის განვითარებისთვის და ზურგის ტვინის ტრავმებით ავადმყოფთა და ბავშვთა ცერებრალური დამბლის საკავშირო სარეაბილიტაციო ცენტრს.

სპეციალური მოსაგებ ფონდს დაემატება 1988 წლის სარეზერვო მოსაგები ფონდის მონარჩენი 158 ათასი მანეთი.

ამ ტირანის ბილეთების გაყიდვა და მიღება დაიწყო 18 სექტემბრის და დამთავრდება „სპორტლოტოს“ 43-ე ტირანის ბილეთების მიღებასთან ერთად.

სპეციალური გათამაშება გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით ა. წ. 22 ოქტომბრის, კვირას.

გვიწვევთ „კულმოყვალეგის“ ტირანში მონაწილეობის მისაღებად. დახმარება გავუწვიოთ ინვალისთვის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში აქტიური მონაწილეობის მისაღებად!

გისურვებთ წარმატებას.

„სამსპორტლოტო“